



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოტოვიჩი იოჰან ფო

კოტოვიჩი (კოტოვი იოჰან, კოტოვი იოჰან ფონ), იოჰან ფონ (გ. 1629), პოლანდიელი იურისტი, იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, რის შესახებაც მოგვითხრობს თავის ნაწარმოებში „იერუსალიმსა და სირიაში მოგზაურობის აღწერა“. იერუსალიმში კ-ს უნახავს სალოცავად მისული ქართველი მხედრობა გაშლილი დროშებით. ივ. ჭავახიშვილის აზრით, ეს საქართველოს სახელმწ. დროშა უნდა ყოფილიყო.

კ. წერს: „ქართველები სხვა წმინდანებზე მეტად წმ. გიორგის სცემდნენ პატივს და სამხედრო დროშებზე გამოსახული მისი სახე ყოველთვის თან დაპქონდათ“.

თხ.: Itinerarium Hierosolymtanum et Syriacum etc., Antv., MDC XIX, 1619.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.
